


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაფოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвa“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცაღკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.



გამოდის ყოველ-დღე ორზაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რეკლამისათვის  
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის ვა-  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააწარმებს და შეამო-  
ღებს დახატვად გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდავ წერ-  
ილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდებს ავტორს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцъ., Москва, Петровка, № 6.

### მუროსინე იაკობის ასული ჭაჭინაძისა

რომელსაც სწავლა შეუძრულვებია  
სანკტ. პეტერბურგის უმაღლესს საქა-  
ლებო სასწავლებელში, ამ წლის  
პირველის სექტემბრიდან ხსნის ქა-  
ლაქს შუთაისში მოსაგზავლად  
სასწავლავალს ორის წლის კურსით,  
რომელიც ამზადებს ქალებს საქალე-  
ბო გიმნაზიის პირველის კლასისა-  
თვის, ვაჭებს სავაქო გიმნაზიის მოსამ-  
ზადებელის კლასის უფროსის განყო-  
ფილებისთვის.

სასწავლებელში მიიღებიან ბინი-  
დამ მოსიარულე ყმაწვილები პანსიო-  
ნი არ იქნება, და სწავლისათვის გა-  
დახდებთ სასწავლო წელიწადში ორ-  
მოდგახუთი მანათი (45), რომე-  
ლიც წინ-და-წინ უნდა შემოიტანონ  
მესამედობით. მისაც კსურს ყმაწვილე-  
ბის მიზარება ამ სასწავლებელში, წე-  
რილებით უნდა განუცხადოს თავისი  
სურვილი სასწავლებლის დამაარსე-  
ბელს იელისის 22-დამ აგვისტოს 25-  
მდის.

ადრესი: შუთაისი, გოსპიტლის ქუჩა  
სახლი ნიკოლაძისა. (6—6)

### შინაური ქრონიკა

შმაღლესმა მთავრობამ დაამტ-  
კიცა ღიმიტრი ივანეს-ძე შიფიანი შუ-

### წერილი პარიჟიდან

პარტიების მდგომარეობა არჩევნების წინა-  
დ.

მხლანდელის დებუტატების უკანასკ-  
ნელი შეკრებილება დაიშალა და ახ-  
ლებს არჩევს დღე დანიშნულია ღი-  
ნობისთვის ოთხისთვის. ამის გამო  
საფრანგეთი ეხლა საინტერესო სანა-  
ხავს წარმოადგენს ღიწყო სხვა-და-  
სხვა დასების საარჩევნო ბრძოლა.  
შოველი მათგანი ცდილობს ერის გუ-  
ლის მოგებას და თავის მომხრეების  
არჩევინებას.

პარლამენტი წარმოადგენს ორს უთა-  
ნასწორად და ძირითად განსხვავებულს  
რაზმს. ერთია რესპუბლიკელი, მეო-  
რე მონარქიკელი. ეს უკანასკნელი ძა-  
ლიან მცირეა და დიდი ძალა არა აქვს.  
ამასთან თითონაც წერილის დასებად  
იყოფება, რაიცა მას უარესად ასუს-  
ტებს. რესპუბლიკელი დასი, რომელ-  
საც აწყო ეკუთვნის და რომელზე-  
დაც ლაპარაკი ღირს ამ ჟამად სამს  
დიდს დასად იყოფება: ა) ზომიერებისა,  
ბ) ოპორტუნისტებისა და გ) რადიკა-  
ლებისა, თუმცა თვით ამ დასებშიაც  
მოიპოვებიან სხვა-და-სხვა განყოფილე-  
ბანი. ამათგან ყველაზე ძლიერები და

თათისის გუბერნიის თავად-აზნაურთა  
წინამძღოლად.

== თუ თბილისის სკანდალების  
მატიანეს ერთი ამბავი კიდევ არ მიე-  
მატა, ეს უნდა დავაბრალოთ მოთმი-  
ნებას იმ პირისას, რომელიც მოწი-  
ნააღმდეგის უზღველობას შეეძლო თავ-  
დავიწყებამდის მიეყვანა: თბილისში  
ჩამოვიდა რუსეთიდან პროფესორი სი-  
სხლის სამართლის კანონისა ბ. შ—ცი.  
«პრუტკოში» მას შეხვდა, თურმე, ერთს  
სტოლზედ ჯდომა რამდენიმე სერთუ-  
კიან პირთან და სხვათა შორის ერთ  
ჩერქესკიან თავადიშვილთანაც.

თანამგზავრს ბ. შ—ციკისას უცხო-  
სტუმარი გაეცნო ყველასათვის და  
ჩერქესკიანი თავადიშვილიც წარედგი-  
ნა. «მე არა მსურს თქვენი გაცნო-  
ბა.» — ცივად ეთქვა შ—ციკის. ჩერ-  
ქესკიანს თავი შეემარებინა, იმისათ-  
ვის კი არა ეთქვა-რა და პასუხი გამ-  
ცნობისათვის მოეთხოვა. უკანასკნელს  
მხოლოდ იმითი დაეხსნა თავის თავიც  
და თავის სტუმარიც, რომ ეთქვა  
მასზედ: «შეშლის მზგავსს მდგომარეო-  
ბაშია და თავის მოქმედებაში თავის  
თავს ანგარიშს ვერ აძლევს.»

== შუთაისის მთარგმნელ-გამომცე-  
მელის საზოგადოების პირველი დე-  
ბიუტი იქნება საქართველოს ისტო-  
რია ბარათაშვილისა. ეს ისტორია შეი-

მმართველობის ხელმძღვანელი იყენენ  
ოპორტუნისტები. ამ ოთხის წლის  
განმავლობაში მათი გავლენა და ძა-  
ლა შეურყეველი იყო, ხოლო ამ  
უკანასკნელს დროს იგი შესამჩნე-  
ვად დაეცა მმართველობისგან ჩა-  
დენილის შეცდომების გამო. საქ-  
მე იქამდის მივიდა, რომ მმართვე-  
ლობა ამ ოთხისთვის წინად რადი-  
კალებს ჩაუარდათ ხელში.

რა განსხვავებაა ამ დასებს შორის?  
ამ კითხვაზე პასუხი მისცა თავის შე-  
სანიშნავს სიტყვაში უკიდურესის მარ-  
ცხენის თავმა ძღვემანსამ. იმან სთქვა,  
რომ კაცის ბუნების თვისებისამებრ  
ყოველს ქვეყანაში ორი პარტია არი-  
სო: კონსერვატორებისა და პროგრე-  
სისტებისა. პირველნი კმაყოფილნი  
არიან იმით, რაც არის და არ დაეფ-  
ბენ არსებულის შეცვლას. მეორე-  
ნი კი მუდამ ცდილობენ არსებულის  
გაუმჯობესობას და წინსვლასა პირ-  
ველებს წარმოადგენენ ზომიერები,  
მეორეებს რადიკალებიო. ხოლო ამ  
ოჯს მტკიცე საფუძველის მქონე დასს  
შორის არის განხიროული ოპორტუნის-  
ტების დასი, რომელიც აქეთაც არის,  
იქითაც, მაგრამ ორთავეს წინააღმდე-  
გიაო.

ეს მსჯელობა ეკუთვნის დასის კაცს

ცაც სამს რეგულს, რომელთაგან ორი  
უკვე გადმოთარგმნილია ქართულად  
და მესამეს თარგმნაც მალე დასრულ-  
დება.

== შუთაისიდან გვწერენ: ამ თვის  
5-ს შოთიდან მომავალ მატარებლის  
პირველ კლასში შესულან ბ. შვილი  
და მიუმართავს იქ მჯდომს ნ. მ. სათვის  
შემდეგის სიტყვებით: «თქვენ ამწე-  
რეთ «იურიდიულ მიმოხილვაში!» —ო,  
და პასუხიც არ დაუცლია — ერთი ლა-  
ზათიანი სილა გაუწავს შუთაისში  
ცნობილ ადვოკატისათვის. მოქმედებით  
შეურაცხყოფის მიყენებას, რასაკვირ-  
ველია, ვერაფერს გაამართლებს, მაგრამ  
სამწუხაროა, რომ ისეთს სერიოზულს  
ორგანოში როგორც «აურადიულია მი-  
მოხილვა» ხშირად შეუფერებელს ცნო-  
ბებს ეკითხულობთ შუთაისიდან. პი-  
რადად გაუცნობელს თანამშრომელს  
ხშირად შეჰყავს შეცდომაში სამართ-  
ლიანობის მიმდევარი ორგანი...»

== იქიდანვე გვატყობინებენ, რომ  
ადგილობრივი გუბერნიის უფროსი ამ  
ჟამად ლეჩხუმისაკენ გამგზავრებულია;  
იქიდან გადვილის სვანეთს და გადავა  
სოხუმის ოლქშიო.

== ხევიდან გვწერენ: «მღეთედ-  
გან სამი ვერსის მანძილზედ, ერთ  
მთის წვერზე, არის ერთი დაუნგრე-  
ველი ძველი შენობა, რკინის კარბე-

და წარმოთქმულია იმ დროს, როდეს-  
საც პოლიტიკის კაცი თავის აზრის  
გასაყვანად ხშირად აქარბებს. რა თქმა  
უნდა რომ ოპორტუნისტებსაც ისეთი-  
ვე არსებობის საფუძველი უნდა ჰქონ-  
დეთ, როგორც ზომიერებს და რა-  
დიკალებსაც აქეთ; ვგრე რომ არ ყო-  
ფილიყო, მათ არც მაგოდენი ძალა  
ექნებოდათ.

ზომიერების პროგრამა წარმოსთქვა  
დებუტატმა რიბომ თავის სიტყვაში  
ამომრჩეველების წინაშე. იგი მდგომა-  
რეობს რესპუბლიკის მტკიცედ დაცვა-  
ში, ნელს და უსაჭიროებს რეფორ-  
მებში, სამღველოების პატივისცემა-  
ში და საფრანგეთის პოლიტიკურს  
დიდებაში. რადიკალები რესპუბლიკის  
სახელის და გარეგნობის დაცვას არა  
კმაყოფილდებიან, მათ უნდათ რეს-  
პუბლიკის სხეულს სულიც რესპუბ-  
ლიკისა ჩაუდგან, სურთ ბევრის რე-  
ფორმების მოხდენა, სამღველოების  
მინიჭებულების მოსპობა; უარს ჰყო-  
ფენ ყოველ ნაირს შორეულს გა-  
ლაშქრებას და კოლონიების შეძინებას.  
ოპორტუნისტები? იმთაგანდაწყვეტილი  
პრინციპული პროგრამა და მიმარ-  
თულება არა აქვთ. ისინი იქცე-  
ვიან და მოქმედებენ დროს შესა-  
ფერად და მიხედვით. ღლეს საჭი-


ბით. ხალხის გარდმოცემა ამ შენო-  
ბის აშენებას მეფე მახტანგ ბორგ-  
ასლანს მიაწერს. რკინის კარბები, რო-  
მელიც ჯერ კიდევ ისევ თავის დანი-  
შნულებას ასრულებს, სამსეა ხუცუ-  
რი წარწერებით. ბევრი ეცაღე ამო-  
მეკითხა ეს წარწერები, მაგრამ ყოვე-  
ლივე ჩემი ცლა ამოა იყო, რადგა-  
ნაც ქარაგმებით და სხვანაირი ხელით  
არის დაწერილი. მეცნიერი კაცის  
თვალი ბევრს რასმეს იზოვის აქ არქე-  
ოლოგიურის მხრით შესანიშნავს.»

== იქიდანვე იწერებიან: «როდეს-  
საც საქართველოს ყველა კუთხეებში  
უწვიმობას უჩივიან, აქ წვიმებმა თა-  
ვი მოგვაბეზრა. მეტად დიდი წვიმები  
იყო და ხანგრძლივად გასტანა. მხო-  
ლოდ ამ უკანასკნელ დღეებში დაი-  
ჭირა სიცხეები. პურის მოსავალს  
კარგს მოველით, ვამბობ, მოველით-  
მეთქი, რადგანაც ჯერ გადაწყვეტი-  
თ კაცს არ შეუძლიან სთქვას შემდეგ-  
ში რა იქნებაო: ყანები აქ გაიჭრება  
ავვისტოს გასულს, მხოლოდ სრუ-  
ლიად მოიმკება ოქტომბრის ნახევრამ-  
დის.

«ზოგჯერ თოვლი ასწრობს ყანების  
შემოსვლას და მაშინ პატრონი იძუ-  
ლებულია ყანა ბალახის მზგავსად სა-  
ქონლისთვის გასცელოს. სათიბი ბალა-  
ხები ამ მხარეში ძლიერ ნაკლები მო-  
ვიდა სიცივეების გამო.»

როდ დაინახავენ რადიკალურს ცვლი-  
ლებას, — დათანხმდებიან; ხვალ წინა-  
აღმდეგს სცნობენ საჭიროდ, — წინააღ-  
მდეგად მოიქცევიან. თავიანთ თავს  
ისინი მმართველობის რადიკალებს  
ეძახიან.

ახლის არჩევნებისთვის, რასაკვირ-  
ველია, ფაცი-ფუცი შეუდგათ ამ და-  
სებს. მხლანდელმა მმართველობამ რა  
წამს მიიღო გამგეობა, გამოაცხადა,  
რომ იგი მიუდგომელი იქნება და თა-  
ვისუფალს არჩევნებს მოახდენინებს.  
მხლა იგი ცოტად თუ ბევრად ასრულებს  
ამ აღთქმას და მეტბოლოთ თავისუფა-  
ლი სარბიელი აქეთ. ამ საარჩევნო  
ბრძოლაში ყველაზე დიდს ენერგიას  
იჩენს რადიკალების დასი. აგრე თი-  
თქმის ორი თვეა, რაც მათ გამოსცეს  
მანიფესტი, რომელიც შეიცავს ეხ-  
ლანდელის უმრავლესობის დასის კრი-  
ტიკას და რადიკალურს პროგრამას.  
რამოდენად დაეცა ოპორტუნისტო-  
ბა — სჩანს შემდეგიდგან. რადიკალების  
მიზანძვით მათაც მოინდომეს მანიფეს-  
ტის გამოცემა. შეიყარნენ კიდევ ბა-  
ბილონის ქუჩაზე პირველს ყრილო-  
ბაზედვე მათ გაშორდენ ზომიერები.  
მაშინ ამოჩეული კომიტეტი ადგენს  
აქამდის მანიფესტს და კიდევ ვერ შე-  
უდგენია ისეთი, რომ ყველა ოპორ-



«მწევესში» ვითხოვლობთ: ჩვენ შევიტყუეთ, რომ დეკანოზი მამა სიმონ ბეგიევი უკვე შესდგომია ერთი რუსული წიგნის თარგმნას, სახელდობრ: «როგორ სწავლობენ ჩვენნი გარდაცვალებულნი და როგორ ვცხოვრობთ ჩვენ შიდად სიკვდილისა. ეს წიგნი ამ ბოლოს დროს ფრანკულ ენაზედაც გადათარგმნეს და სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენს ენაზედაც გადათარგმნოს. სწორედ კი დროს (!?) მიუყვია ხელი პატივცემულ დეკანოზ ბეგიევს ამ წიგნის თარგმნისათვის.»

მითომ ორის წლით რომ დაეგვიანებინა მამა სიმონ ბეგიევს ამ წიგნის თარგმნა, დავიღუპებოდით!?

«პეტერბურ. შუქებში» ვითხოვლობთ, რომ აკადემიკოსის დ. ი. ჩუბინაშვილის - მიერ შედგენილი ვრცელი ქართულ რუსული ლექსიკონი მალე გამოიცემო. ამ ჟამად პირველი ტომი ამ ლექსიკონისა დაიბეჭდა კიდევცა.

«ამავე გაზეთის სიტყვით. მოკლეს ხანში უწმინდესის სინოდის მბრძოლველ პოპულარ პოპულარს ცეცხლს წაწვდებდა ამიერ ქავკასიის დეპუტაცია, (აკადემიკოსი დ. ი. ჩუბინაშვილი, თავადი ნ. დ. სამეგრელოსა და თ დი ი. ა. ნაკვიფი) რომელსაც მინდობილი აქვს ქართლ ქანეთ—იმერეთის თავად-აზნაურობისაგან იმუშადგომლოს, რომ ივერიის (ათონის) მონასტერი კვალად დაუბრუნდეს ქართველებს.

«ამ დღეებში ბაქოში გარდაცვლილა ვინმე ხორბატინსკი. მიცვალებულს ხოლერის ნიშნები ეტყობოდა,»

ტუნისტები შეაერთოს. რადიკალები ამას უყოყნებენ და დასცინიან, რომ სწორედ ბაბილონის გოდოლის მშენებლებისამებრ აერიათ ოპორტუნისტებს დაფორებიო. სწორედ რომ საშინელის ენერგიით იტყვიან რადიკალები, მეტადრე ძღვემანსო, რომელიც ქალაქებიდან ქალაქებში დაიარება და დაუღალავად სიტყვებს ამბობს. მპორტუნისტები ეხვეწებიან თავიანთ ნაპრეზიდენტალს შულ-შერის ძღვემანსოს მაგალითის მიბაძვას. ბუშინ მივიდა იგი ლიონში და გამართულს ნადიმზე წარმოსთქვა სიტყვა. ხალხი დაუხვდა ორნაირის ყვირილით; ზოგი ყვიროდა Vive Férry (შერის გაუმარჯოს!) ზოგი კი: à bas Férry (ძირს შერი!)

დაუბრუნდეთ რადიკალების მანიფესტს.

თუმცა რადიკალები თავიანთ მხრით ორს დასად იყოფიან, მაგრამ ისინი ისე საკმაოდ არიან თანხმანი ერთმანეთში, რომ მოახერხეს საერთო რადიკალური მანიფესტის გამოცემა. ეს დოკუმენტი ოთხმოც-და-ოთხას დეპუტატისაგან არის ხელმოწერილი. მხლანდელის პოლიტიკის გარჩევისა და გაკილების შემდეგ, იმაში მუხლობით არიან აღნიშნულნი ის ცვლილებანი, რომელთაც ითხოვს რადიკალების პარტია.

საქმება ჰქონდა ავარდნილი, ცალფერში ტეხას უჩივოდა და ორს დღეში გათავდა კაციო. ბაქოს მცხოვრებნი ერთობ დააფრთხო ამ შემთხვევამ. მხლა ბაქოს გაზეთს—«ქასში» ზარდაცემულ მცხოვრებთა დასამშვიდებლად ვრცელს წერილსა ვითხოვლობთ ამ შემთხვევის გამო ქალაქის ექიმის მოადგილის ექ. ბლიუმბერგისას. მიცვალებულის გვამი გაუქრიათ და შეუმოწმებიათ ოთხს ექიმს. აღმოჩენილა, რომ ხორბატინსკი, რომელიც რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ სულ ცივებიან ალაგას იმყოფებოდა, მოუკლავს წელის ქრონიკულს კატარს და ეს კატარი უფრო და უფრო გაუმძაფრებია ავ-ზენე ცივებას

«თბილისში დოქტორმა მიუჩარიანცმა გამართა ორთქლით სამკურნალო თავის სადგურთან და საამისოდ დაბეჭდილს ფურცელში უხსნის საზოგადოებას ორთქლის მნიშვნელობას სხვა და-სხვა ავადმყოფობაში.

პირველად ბ. მიუჩარიანცი ლაპარაკობს იმ მნიშვნელობაზე, რა მნიშვნელობაც ჰქონია წამლობისათვის ძველს დროში და შუა-საუკუნოებში წყალს საზოგადოდ და ორთქლს განსაკუთრებით. ორთქლი იგივე წყალია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი შეიძლება წყალზე უფრო მეტად გათბეს, შეითვისოს სხვა-და-სხვა სამკურნალო წამლები და უფრო საფუძვლიანად იმოქმედოს ადამიანის აგებულებაზე. ორთქლის წყალობით შეიძლება ავადმყოფის გარშემო ჰაერი დამზავდეს ზღვის სველ ჰაერს, ჰაერს ნაძვისა და ფიჭვის ტყეებისა, ყვავილებით სავსე მინდვრებისას, ნაფთის წყაროებისას და მაშინ ავადმყოფი ისე იგრძნობს თავის თავს, ვითომც მართლა შესაფერის ბუნებით იყოს გარშემორტყმული.

პირველი მუხლი გამოთქმულია ამ ნაირად: გალაშქრების და შექმნის პოლიტიკის უარყოფა რადიკალები დიდს მნიშვნელობას არ აძლევენ საფრანგეთის მფლობელობის გავრცელებას ტონკინზე, ანამზე, მადაგასკარზე და სხ. ისინი ამაში ენების მეტს არას ხედივენ. მმართველობას კიდევ ურჩევენ ტონკინზე ხელის აღებას მაშინ, როცა ჩინეთმა დაუთმო მადაგასკარზე გალაშქრების შესახებ ხომ დიდს უარზე იდგნენ. იმათ აზრით კოლონიები არა მხრით არ არიან გამოსადგენი საფრანგეთისთვის: ხარჯს უმატებენ მარტო და დედა-ქვეყნის მხედრობას ასუსტებენ. მართლაც სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საფრანგეთს კოლონიებზე უფრო მეტი გასავალი აქვს, მინამ მათგან შემოსავალი. რაც შეეხება ვაჭრობას და იქ საფრანგეთის ნაწარმოების გასაღებას, ეგეც ტყუილია. უცხო ქვეყნები უფრო ბევრს სარგებლობენ იმათგან, ვიდრე თვით დედა-ქვეყანა. მაგალითად ავიღოთ კოხინჩინეთი, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის. ხარჯი არის იმაზე 5,684,000 ფრ., შემოსავალი 1,871,000 ფრ., მაშასადამე ზარალია 3,813,000 ფრ. საფრანგეთს შეაქვს ამ ქვეყანაში 5 მილიონის საქონელი, გამოაქვს იქითგან

ფი ისე იგრძნობს თავის თავს, ვითომც მართლა შესაფერის ბუნებით იყოს გარშემორტყმული.

ამას გარდა მხოლოდ ორთქლის ვანების წყალობით შეუძლიან ავადმყოფს დიდი სიციხის ატანა. ორთქლის ვანები ადამიანის სხეულს აცლიან ზემოთს თხელ კანს და, რასაკვირველია, მის ქვეშ მდებარე მეორე კანი უფრო ადვილად ითვისებს ორთქლით მიტანილს ნივთიერებას, რომელიც ორთქლში გახსნილია, ვიდრე მაშინ, როცა ამ ნივთიერებას უბრალოდ უსმენ ტანზედ. როგორც ცხელი წყლის ვანები, ისე ორთქლისა სიმსუქნეს სპობენ ადამიანის ტანში და შევლიან მონელეზას. აგრეთვე, გარეგანი სიციხე ავანიერებს სისხლის მილებს, სისხლი შინაგან ორგანებს აკლდებათ, აკლდება აგრეთვე თავის ტვინს და ამის გამო წარმოსდგება ძილი და მოსვენება.

ორთქლის ვანები კარგად მოქმედობენ სხეულზედ, როდესაც ადამიანს ნაწლავების ტკივილი სჭირს, ან შიგნითი ტკივილები ნაღველის, თირკმელისა ან შარდის კენჭის გამო. სხელი ვანები შევლიან ნერვების ავადმყოფობაშიც; აგრეთვე შეგვიძლიან ჩამოვთვალოთ შემდეგი ავადმყოფობანი, რომლებზედაც კარგად მოქმედებს ეს საშუალება: კუჭის მოუნელებლობა, ანემია, ქრონიკული კატარი, დამბლად-დაცემა რევმატიზმი, ხელ-ფეხის დახუთვა, კანის ავადმყოფობა, სხვა-და-სხვა სიფილიტიკური ავადმყოფობა და სურათადი. ამას უნდა მივმატოს ორთქლის მოქმედება იმ შემთხვევაში, როდესაც მასში სხვა-და-სხვა წამლები გახსნილი სხეულზედ უფრო ადვილად მოქმედებისათვის.

1,600,000 ფრანკისა. უცხო ქვეყნებს კი შეაქვთ 66 მილიონისა და გამოაქვთ 78 მილიონისა. ამ ციფრებიდან გამოდის, რომ საფრანგეთი, რომელიც თავის ხარჯით მართავს კოხინჩინეთს, აკეთებს იქ გზებს, მშვიდობიანობას და განათლებას აგრცელებს, ყველაზე ნაკლებ სარგებლობს.

რადიკალები კოლონიების შექმნაში დიდს ენებას ხედავენ საფრანგეთის დამოუკიდებლობისათვის: პირველად, დედა-ქვეყნის მხედრობა სუსტდება ჯარის უცხო ქვეყნებში გაგზავნით, და მეორედ, იმისთანა მძლავრის და საშიშარის სახელმწიფოების მეზობლები ხდებიან, როგორც ჩინეთია. ისინი წინასწარმეტყველებენ, რომ ჩინელები ტონკინზე ხელს არ აიღებენ და, როცა იარაღის ხმარებას ისწავლიან, ხელ-ახლად ომს დაგვიწყებენო. მაშინ მათთან საომრად ხუთი და ათი ათასი კაცი კი არა, ასი ათასიც არ გვეყოფაო... იმის მაგივრად რომ უცხო ქვეყნები შევიძინოთ, ამბობენ რადიკალები, ის არ სჯობია, რომ ის დავიბრუნოთ, რაც მტერმა ჩვენ წაგვართვა თხუთმეტის წლის წინათაო.

ბოლოს რადიკალები ადამიანურის თვლით უყურებენ უცხო ქვეყნების შექმნას და ამტკიცებენ, რომ საფრანგეთს უცხო ქვეყნების დამორჩილების

მაგრამ ორთქლის ვანები მაინებელია, როდესაც ადამიანს უკმაყოფილება სისხლის წასქრობისა თუ სხვა ვანიებამ, კუჭიდან, ტვინიდან და საშუალოდ; მაინებელია ანევიზმისათვის, გულის ავადმყოფობისათვის, ფილტვების ანთებისათვის და სხვ.

«დროების» კორექციონები


ჩოხატაური, ივლისის 20-ს. ჩოხატაური არის საკმაოდ დიდი სოფელი მზურგეთის მაზრაში. აქ არის ფოსტის სტანცია, მომრიგებელი სასამართლო, პოლიციის პრისტაფი, სასოფლო-სასაქონლებელი, აფთეკა და პატარა ბაზარიც მდინარე სუფსის მახლობლად. როგორც მთელს ბურიაში იყო, თუ არ მომეტებულად ამ ჩოხატაურის განყოფილებაშიაც მოდებულა ყვავილი, წითელი და სხვა ავადმყოფობა 1884 წ. დეკემბრიდან და ძირელაც აზარალა ხალხი, თუ სიკვდილით თუ მატერიალურად; ასე რომ სადაც გაჩნდება ყვავილი, იმის მახლობლად ვეღარავინ დგება, 5—20 ვერსზედ მიდის და სტოვებენ ოჯახს უპატრონოდ, ორსა და სამს თვეს, უპატრონოდ დატოვებულს ოჯახს რა მოუვა, ადვილად წარმოსადგენია, როგორც ოჯახის მოუფლებლობით და უმუშაობით, ისე ზოგან ავანკებისაგან აკლებით. მრთს ჩემს მეზობელს ბ. ბ.—ქვს მოუკვდა დედა ავრ 15-ი დღე იქნება და ჯერ კაცი არავინ მიჰკარებია, ასე რომ საწყალს სრულიად უფუტქდება, რაც დათესილი ჰქონდა.

ამ სენულების მოსასპობად მაშინვე იხმარეს საშუალება და გამოგზავნეს

უცხო ქვეყნების დამორჩილების უფლება არა აქვს, რადგან ყოველი ერი დამოუკიდებელი უნდა იყოს. მპორტუნისტები კი სხვა მოძღვრებას ადგანან. ისინი ამბობენ, რომ უმაღლესს და განვითარებულს მოდგმებს დაბლისა და გაუვითარებელის მოდგმების დამორჩილების არამც თუ უფლება, მოვალეობაცა აქვსო. მპორტუნისტები ჰბაძავენ იმ ბერმანელ პოლიტიკოს-მეცნიერებს, რომელნიც ძლავას-ლორენის წართმევის დროს ამბობდნენ, რომ საფრანგეთის ერის დაცემა და დასუსტება, როგორც უმდარესის მოდგმისა, ბერმანის მოვალეობას შეადგენდა.

ბისმარკი, რომელიც საფრანგეთის დაუძინებელი მტერია, ძალიან ხელს უწყობს მმართველობას კოლონიების შექმნაში. ეს ერთი გარემოებაა უნდა აფიქრებდეს ოპორტუნისტებს, მაგრამ ისინი დაბალის მოდგმების დამორჩილების მოვალეობას ისე დიდად გრძობენ, რომ არა რაიმე საშიშროებას არ ერიდებიან.

რადიკალები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის გასაძლიერებლად კოლონიები უმთავრესი საშუალება არ არის. ამის მაგალითად მოჰყავთ შვეიცარია, რომელსაც თუმცა კოლონიები არა აქვს,



ნეს ყვაილის ამცრელები, მაგრამ ზოგმა აიკრა და ზოგმა არა, რადგან გურულებს ძლიერ ეშინიათ ყვაილისა და აცრის ჩვეულები არ არიან. რომ ეკითხე, რატომ არ ააქრევენთ-მეთქი, რაკი მოგივიდათ ამცრელი, მათ მიპასუხეს, აცრა არაფერს იზამს, მაინც დაგვემართება ყვაილი და უბრალოდ თავი რად ვიწვალო და უცხო კაცს ჩვენი ქალების მკლავები რად გავასინჯინო. ამათ ერთად-ერთ საშუალებად მიანჩიათ მხოლოდ განიზნება და ამას გარდა თუ ვისმეს შეეყარა ყვაილი, მაშინვე თხას დაუკლავენ და წითელიანთან ვინც მივა მნახველი. მაშინვე მიადანებენ: ასი მეტანიო (მუნლის მოყრა). რა თქმა უნდა, რომ ამისთანა საშუალებებით ხალხი ვერაფერს იზამს.

როდესაც ხალხი ძლიერ შეშინდა, ამ დროს გამოჩნდა ერთი ჩვენებური სოფელს მრკეთს მცხოვრები ლაზარე ივანეს-ძე ჰინჭარაძე, რომელსაც ძლიერ კარგად სცოდნია, თურმე, ყვაილის აცრა და მთავრობისაგანაც ჰქონია ნება. ეს კაცი ერთი თუ ორი თვე მეტი არის რაც თავ-გამოდებული დადის სოფლებში კარდაკარ, კვირაობით ეკლესიებზე და დიდის ხეწინით და ჩაგონებით უცრის ყვაილს. ჰინჭარაძემ ისე მითთვისა ეს არა-ჩვეულები ხალხი რომ ამ ერთ თვეში თითქმის სამ ათასს სულს მეტს აუტრა და ყველას გამოაჩნდა კიდევ. როგორცა სჩანს, ამ კაცის მეცადინეობით თანდათან ცხრება ეს სწეულება და ხალხს შეველა ეძლევა.

მ. შაქუბი.

ს.ო.ფ. ხიღის-თაში (მართლი), აგვისტოს 5-ს. ძარვა ხანია, რაც წეროვ-

მაგრამ აღებ-მიცემობა საფრანგეთთან შედარებით სამჯერ უკეთესი აქვსო.

რადიკალების მეორე უმთავრესი მოთხოვნებია არის სენატის მოსპობა. სენატორები თვით ხალხისგან კი არ იჩვენებენ, არამედ მუნიციპალიტეტებისგან. სენატი სინჯავს დებუტატების გადაწყვეტილებას და შეუძლიან, თუ არ მოეწონა, უკან დააბრუნოს და შეაკვლიყინოს. დებუტატების პალატის მხრით ბევრჯერ საქირაა დიდი განჯიუტება და რამდენჯერმე საგნის გარჩევა, რომ სენატს მიადებინოს ხოლომე რომელიმე გადაწყვეტილება. რადიკალებს არ ესმით, თუ განსაზღვრულის არჩევნით არჩეული სენატორები რად უნდა აბრკოლებდნ საყოველთაო არჩევნით არჩეულის დებუტატების გადაწყვეტილებას ისინი სენატის არსების საფუძველს უარს ჰყოფენ. ზოგნი-კი, რომელნიც მის არსებობას უარს არა ჰყოფენ, ითხოვენ, რომ იგიც ისე იყოს არჩეული, როგორც დებუტატები არიან.

მესამე მოთხოვნებია არის ეკლესიისა და სახელმწიფოს გაცალკეება (séparation de l' Eglise et de l' Etat). საფრანგეთი ეკლესიის შესახებ იმ წესს მისდევს, რომელსაც შეთანხმება (Concordat) ჰქვია. ეს შეთანხმება არის შეკრული ნაპოლეონ პირ-

ბის, ფურცლებზედ ჩვენი სოფლიდან არა დაწერილა-რა. ამისათვის მკითხველს ცოტადენ რასმეს მოეხსენებ ამ სოფლიდანაც. პურის მოსავალი წრეულ, ჩვენდა სამწუხაროდ, შესამჩნევად ნაკლებია. რაც წინაწლებში პური მოგვდიოდა, წრეულ იმის ნახევარიც ძლიერ მოგვივა, ისიც სარწყავი მიწების ყანებისა; ურწყავი მიწების ყანები კი სრულიად გვალვამ წავიხდინა. შენი მტერი, რომ ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდა, სიმინდები კარგს მოსავალს რომ არ გვირდებოდნენ. სიმინდებსაც უბირებდა გვალვა წახდენას, მაგრამ მშვენიერი ქუქუნა წვიმა ღეთის მანანასავით მოესწრო მათ და დაუბრუნა სიცოცხლე. ღვინის მოსავალს წრეულ კარგს მოველით, რადგანაც ვენახებს კარგად გვისხია. აქ საქონელის ჰირი «თურქული» გაჩნდა; მაგრამ ჯერ-ჯერობით მას ზარალი არა მოუტანია-რა საქონლისთვის. წითელაც გავრცელებულია სოფელში, მაგრამ, მადლობა ღმერთს, კარგად ხდებოდა. ამას წინადა აქ ყვაილიც გაჩნდა და საშინლად დააზარალა სოფელი; ბევრი ბავშვები იმსხვერპლა. ზოგს გლეხს ორი-სამი მოუკლა. ბავშვებსაც არ დასჯერდა და ორი ვაჟკაციც ამ წუთის სოფელს გამოასალმა.

მდ. ტანას ხადი, რომელიც ამ ორისამი წლის წლის წინად გაზაფხულზედ წყალმა აღიდების დროს დაანგრია, დღესაც ისე ჰგდია და მის გაკეთებისათვის არაინა ჰუეკრობს, თუმცა იგი საქირაა მთელი მაზრისთვის, რადგანაც ამ ხიდის გზა ობილისისკენ მიდის. გაზაფხულზედ ისრე აღიდებდა ხოლომე ეს მდინარე, რომ ურმითა და ცხენებითაც-კი შეუძლებელი ჰხდებოდა მასში

ველისაგან პაპთან. იმის ძალით საფრანგეთის სახელმწიფო ინახავს კათოლიკე სამღვდლოებს, საყდრებს, მონასტრებს და სკოლებს თავის ხარჯით, რომელიც 50 მილიონამდის აღის. რადიკალები თხოულობენ, რომ სახელმწიფომ მოუსპოს ეს ხარჯი ეკლესიას. იმათ უნდათ, რომ სახელმწიფოს ეკლესიასთან არა გვარი კავშირი არა ჰქონდეს. «ეკლესია შეინახოს იმის მოსაგება» ამბობენ ისინი.

ამათ მოჰყვება სხვა მოთხოვნები: სამხედრო მოვალეობის გათანასწორება ყველაზე, ხარჯისა და გადასახადის სამართლიანი განაწილება, მუშა ხალხის მფარველობა და მასზე მზრუნველობა და სხვ. მართის სიტყვით ისინი თხოულობენ იმას რაც საფრანგეთის ერის სასარგებლოდ მიანჩიათ პოლიტიკურად და ეკონომიურად და რაზედაც ოპორტუნისტები უარს დგანან. ამ ნაირის პროგრამით მიმართვენ ერს და სთხოვენ იმის მიმდევრების არჩევის დებუტატებად. იქ სადაც მათი ხმა აწევს, სადაც მათს ნაწერს კითხულობენ და მათს სიტყვას ისმენენ, რადიკალები ყოველთვის იმარჯვებენ. უმთავრესი ქალაქები: პარიჟი, ლიონი, მარსელი, ბორდო და სხვ. სადაც შეგუფულან მუშები, რადიკალიზმის ბუდე-

გასელა. ამისათვის ხალხი ზემოდ მოხსენებული ხიდის უქონლობის გამო იძულებული ჰხდება იქვე ახლოს რკინის გზის ხიდზედ გავიდ-გამოვიდეს; მაგრამ იქაც საშიშოა, რადგანაც შესაძლოა, რომ ორთქლით მავალმა უცებ მოასწროს და გაქვლიტოს ამ ხიდზედ გამვლელ-გამომვლელი. ეს მით უფრო შესაძლოა, რომ ხიდი ძალიან გრძელია. ძარგი იქნება, რომ ამ დანგრეულ ხიდს ყურადღება მიექციონ და გააკეთებინონ.

წ. ოქუაშვილი.

### რუსეთი

რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა რიცხს მიემატა ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. ღმერთს რუსეთში ტექნოლოგიური განათლება ერთობ დაცემული იყო. ამ გვარი უმაღლესი სასწავლებელი იყო მხოლოდ ერთი—პეტერბურგში—და ამის გამო აუარებელი რიცხვი რუსეთის ახალგაზრდობისა ტექნოლოგიურის განათლების მისაღებად ევროპისაკენ მიისწრაფებოდა; ამიერიდამ კი ეს რიცხვი შესამჩნევად შემცირდება და დიდი ნაწილი ახალგაზრდობისა უმაღლესი განათლების წყურვილს მოიკლავს ხარკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტში მიიღებენ იმ ათასობით გზა-კვალ დაბნეულ ახალ-გაზდათაც, რომელნიც რუსის რეალურ სასწავლებელთ ათავებენ და რომელთაც აქამომდე ათასში ერთს თუ გაეღებოდათ უმაღლესი სწავლის კარი. წესდების ძალით მიღება ხსენებულს სასწავლებელში დაი-

ბი არიან. ხოლო სოფლებში, სადაც ხალხი პოლიტიკურად გაუფითარებელი და უმეცარია, გაუღენა აქეთ უფრო თავიანთ ინტერესების მიმდევარ წოდებთა.

მონარქიელებიც, რომელნიც ოპორტუნისტების პოლიტიკის კრიტიკის დროს ხშირად უერთდებიან რადიკალებს, რალსაც აპრობენ. იწერებიან, რომ გრაფს დე-პარიჟისას უნდა დაუწოდეს, რადგან ეშინიანთ, რომ მმართველობამ იმის გულისთვის თავი საზღვარს არ უკრასო. ბრაფს გადაუწყვეტია იხმაროს ის საშუალება, რასაც ფრანკუზები interview-ს ეძახიან. მ. ი. რომელიმე გაზეთის თანამშრომელი მივა, გამოვლავარაკება და მის ნალაპარაკებს დაბეჭდავს გაზეთში. სხადია, ამ ნალაპარაკეში იქნება გამოთქმული ის, რასაც მანიფესტში გამოსთქვამდა ხსენებული ტაბტის მედიცინელი.

ამ დღეებში მთელის ევროპის გაზეთები ალაპარაკა ბისმარკის ერთმა ხრიკმა. ბაზეთს «Temps»-ში იყო დაბეჭდილი ერთი წერილი, რომლის ავტორსაც საფრანგეთის მხედრობის გამოკვლევის შედეგად გამოჰყავდა საქირება ცხენოსანის ჯარის მომატებისა აღმოსავლეთის სამზღვარ-

წყობა ამ თვის 16-დამ დათავადება ამავე აგვისტოს 29-ს

ამ უკანასკნელ დროს ბევრი ცვლილება მოხდა რკინის გზის საქმეში. მხლაც, როგორც გაზეთები გვაცნობებენ, ჰუიქრობენ ახალი წესის შემოღებას: სახელმწიფო კანტრო: - თან უნდა შედგეს ცალკე კომისია ერთ-ერთის საკანტროლო დეპარტამენტის დირექტორის თაღმჯდომარეობით; კომისიაში ჩარიცხებიან რევიზორები, ამათი თანაშემწენი და რკინის გზის სხვა მოხელენიც. ძომისიამ უნდა შეასწოროს, გადახედოს ის ანგარიშები რკინის გზის საზოგადოებათა, რომელნიც, საშუალობის უქონლობის გამო, დღემდის არ განხილულან. ამ წესით ეს ახალი კომისია გამოირკვევს, თუ რომელს საზოგადოებას რკინის გზისას შეუძლიან განაგრძოს თავის საქმეების საკუთრად წარმოება და რომელი ამ საზოგადოებათაგანი უნდა გადაეცეს დაუკონებელივ მთავრობას.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდეთ ცნობა, რომ რუსის მთავრობა სამს ექიმს ჰგზავნის მსპანიანი, რათა შეისწავლოს, თუ როგორ უცრის ექიმი შერანი ხოლერის ჩირქს. მხლა გაზეთს «მეურსაღში» ეკითხულობთ, რომ სამი ექიმის ნაცვლად მხოლოდ ერთი მიდის მსპანიანიში.

მვალთ-მაქცი მ. ბეკერი, რომელსაც არა ერთხელ მოუვლია ჩვენი ქვეყანაც და სხვათა შორის ჰინოტიკური სენსებიც გაუმართავს აქ, ამზადებს გამოსაცემად დიდს შრომას ამ ჰინოტიკურ მოვლენათა გამოკვლევაზე. დიდის ხნის გამოკვლე-

ზე. ბისმარკმა ამ წერილის გამოისობით თავის ოფიციალურს გაზეთს Narddeutsche Zeitung-ში დააბეჭდინა წერილი, რომელიც ჩივის ფრანკუზების საომრად მომზადებას და ამნაირად ევროპის მშვიდობიანობის შეწყვეტას მსეთი დასკვნა ყველას გაუკვირდა. მართალია, წრეულს დებუტატების პალატაში ბევრჯელ წარმოუთქვამთ გაკვრით ის აზრი, რომ ბერმანიას არ უნდა შეეარჩინოთ აღზასლორენიო, მაგრამ განა ბისმარკის ყურებისთვის ეს ახალი გაგონებაა? მსუთმეტი წელიწადია რაც ეს მას ესმის. მაშ რამ ააღელვა? თურმე ნუ იტყვიო, ეს უსაბუთო აღელვება უბრალო ხრიკი ყოფილა, რომელიც მაშინვე შეუტყვეს. ბისმარკს უნდა ბერმანიის ჯარის მომატება და შეიდწლობის (septennat) განახლება. ამ შეიდის წლის წინად ბისმარკმა გამოსტყუა პარლამენტს შეიდის წლის სამხედრო ხარჯი. წრეულ გავიდა ვადა. მხლა იმის გასახლებლოდ გამოიგონა ვითომ საფრანგეთის საომრად მომზადება. ამა ვნახოთ, ბერმანიის პარლამენტი გაჰყვება ამ ხრიკს თუ არა. საფრანგეთს კი ამ ჟამად არცა აქვს ომის სურვილი და არც შეუძლიან მისი დაწყება.

ივლისის 29-ს.

